

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №8

ქ. ახმეტა

7 მაისი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ

საკრებულოს წევრები:

თ. წითელაური, რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი,

თ. ბოდაველი, თ. ბორჩაშვილი, თ. მოზაიძე,

ა. ბულრიძე, ა. შათირიშვილი, გ. ჭვრიტიძე,

მ. ალხანაშვილი, ლ. გოგოთიძე, გ. ხადიშვილი,

გ. ხუცურაული, ვ. სუხოშვილი, გ. მაისურაძე,

ი. მრელაშვილი, ა. ხიზანაიძე, ნ. ალავიძე,

ლ. ითიურიძე, შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი,

ლ. უძილაური, დ. ავაზაშვილი,

სხდომა გაიხსნა 10⁰⁰საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურამე/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), პირობებით და პირობისგარეშე გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, პირობებით და პირობისგარეშე გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასაფლაოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის წლის 27 იანვრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

7. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევისა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

8. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

9. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

10. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100% წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
11. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
12. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში(მერია/საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
13. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი საფასურისა და სარგებლობის საფასურის (ქირის) განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 20 დეკემბრის N54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
14. ახმეტის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
15. „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
16. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/
17. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

18. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

19. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

20. „ახმეტის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 დეკემბრის N75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

21. „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის, გამგებლის მოადგილეების, გამგეობის, სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურებრივი ბლანკის ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 სექტემბრის N 56 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

22. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

23 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

24 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - არსენ ბულრიძე/

25 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

26 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე მიწის ნაკვეთიდან, (ფართობი 21173536.0კვ.მ, საკადასტრო კოდი N50.30.31.025) 400.0კვ.მ მიწის ფართის სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

27 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოუსვლელთა სვერში“ 81კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

28 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, 168.1კვ.მ ფართის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

29 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

30 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ.საკობიანოში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის 14.5 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

31 ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

32 ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

33 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შახვეტილის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი, ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 400.0კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის (საკადასტრო

კოდი N50.24.31.070) სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

34 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

35 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ.ზ.ალვანში, კულტურის სახლის შენობაში პირველ სართულზე მდებარე 37.9კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

22- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომა დატოვა მ. ალხანაშვილმა

სხდომას ესწრება 22 საკრებულოს წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, თ. ბოდაველი

2- არ მიიღო მონაწილეობა- გ. ჭვრიტიძე, ლ. გოგოთიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №16 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა წევრებს გააცნო საკითხი. აღნიშნა, რომ საბიუჯეტო კოდექსის შესახებ კანონის თანახმად მუნიციპალიტეტს უფლება აქვს დამტკიცებული ბიუჯეტის 5% გადაანაწილოს პროგრამულ კოდებს შორის. კანონის ცვლილების თანახმად, ეს წესი უნდა დაამტკიცოს საკრებულომ.

სხდომას ესწრება 23 წევრი

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, გ. მაისურაძე,

2- არ მიიღო მონაწილეობა- გ. ჭვრიტიძე, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №17 - ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი წევრებს. აღნიშნა, რომ მოხდა შედარება თვითმმართველობის კოდექსთან, ტექსტი ჩასწორდა ტერმინოლოგიურად. გამგებლის ნაცვლად ჩაიწერა მერი.

შ. ტერტერაშვილი: კანონიდან კოპირება კანონქვემდებარე აქტებში არაფერს არ იძლევა იმის გარდა, რომ იზრდება ხარჯები. თითო გვერდის გამოქვეყნება გვიჯდება 10-50 ლარამდე.

თ. შათირიშვილი - ესეთი ვარიანტი სამუშაოდ უფრო მარტივია, მარტივად გასააზრებელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, გ. მაისურაძე,

2- არ მიიღო მონაწილეობა- გ. ჭვრიტიძე, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №18 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), პირობებით და პირობისგარეშე გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, პირობებით და პირობისგარეშე გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი. მოხდა ტექსტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, გ. მაისურაძე,

2- არ მიიღო მონაწილეობა- გ. ჭვრიტიძე, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №19 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), პირობებით და პირობისგარეშე გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, პირობებით და პირობისგარეშე გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ტექსტის ტერმინოლოგიური ჩასწორება.

სხდომა დატოვა გ. ჭვრიტიძემ

სხდომას ესწრება 22 საკრებულოს წევრი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, გ. მაისურაძე,

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №20 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის წლის 27 იანვრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში დანართი მთლიანად ჩასწორდა ტერმინოლოგიურად.

შ. ტერტერაშვილი:- ამ შემთხვევაში ვინ არის ჩვენი მიზანი ვინც აქ არის რეგისტრირებული, თუ ვინც არ არის რეგისტრირებული და აქ ცხოვრობს?! დამაბნეველი სტანდარტია, ერთი დოკუმენტი არის სხვა შაბლონზე მიღებული რომელიც წინა სხდომაზე მივიღეთ და მეორე სხვაზე, ერთმანეთს არის აცდენილი.

თ. შათირიშვილი: ჩვენი მწირი ბიუჯეტი არ გვაძლევს საშუალებას, რომ ყველას დავებმართოთ.ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ერთჯერად დახმარებაზე აუცილებელია ცნობის წარდგენა საცხოვრებელი ადგილიდან, მაგრამ თუ ეს არის დაგაუდებელი, მუნიციპალიტეტი უშვებს გამონაკლისებს და აფინანსებს ფაქტობრივ მაცხოვრებელსაც. ხოლო უფასო კვებასთან დაკავშირებით ცნობა აუცილებელია და აქ შეღავათები არ კეთდება.

სხდომა დატოვებს ვ.დედაბრიშვილმა და ლ. გოგოთიძემ.

სხდომას ესწრება 20 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე,

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №21 - ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის წლის 27 იანვრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევისა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული

ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მოხდა ტექსტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე,

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №22 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევისა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში დანართი მთლიანად ჩასწორდა ტერმინოლოგიურად.

სხდომაზე შემოვიდა ვ.დედაბრიშვილი.

სხდომას ესწრება 21 დეპუტატი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი.

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №23 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტექსტი ჩასწორდა ტერმინოლოგიურად.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი.

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №24 -,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ” ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს:„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100% წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ტექსტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი.

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №25 -,„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100% წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის

საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მოხდა ტექსტის ტერმინოლოგიური ჩასწორება. ცვლილება შევიდა ფორმაშიც. გამგებლის ნაცვლად ჩაიწერა მერი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი.

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №26 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში(მერია/საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

ტექსტში მოხდა ტერმინოლოგიური ცვლილება.

შ. ტერტერაშვილი - ტექსტში 2014 წელში გიწერიათ მერია და მაშინ იყო გამგეობა, ჩაასწორეთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი.

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №27 - ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში(მერია/საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი საფასურისა და სარგებლობის საფასურის (ქირის) განსაზღვრის წესის დამტკიცების

შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 20 დეკემბრის N54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონმდებლობიდან გამომდინარე მოხდა აღნიშნული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

3 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი.

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №28 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო საწყისი საფასურისა და სარგებლობის საფასურის (ქირის) განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 20 დეკემბრის N54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მლისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს და აღნიშნა, რომ კანონის ცვლილების შესაბამისად განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

შ. ტერტერაშვილმა მოითხოვა შესვენება.

საკრებულოს თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა. სხდომას ესწრება 21 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი, გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №29 - ახმეტის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს ცვლილებების და ჩასწორებების შესახებ.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი. გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №30 - „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი.

სხდომას შემოემატა თ. ბორჩაშვილი.

სხდომას ესწრება 22 წევრი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი. გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №31 - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი. გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №32 - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გასაცემი მითითების ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი. გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №33 - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მიერ სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი. გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №34 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 დეკემბრის N75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

2- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი. გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №35 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 დეკემბრის N75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის, გამგებლის მოადგილეების, გამგეობის, სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურებრივი ბლანკის ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 სექტემბრის N 56 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი წევრებს და აღნიშნა, რომ კანონის ცვლილების შესაბამისად მოხდა განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საკრებულოს სხდომა დატოვეს ლ. გოგოთიძემ , გ. ჭვრიტიძემ, ვ. დედაბრიშვილმა

საკრებულოს სხდომას ესწრება 19 წევრი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

1 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი,

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №12 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის, გამგებლის მოადგილეების, გამგეობის, სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურებრივი ბლანკის ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 სექტემბრის N 56 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მოისმინეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა გააცნო საკრებულოს დამსწრე წევრებს რეგლამენტში ცვლილებების და ჩასწორებების შესახებ.

შ. ტერტერაშვილი: მე-16 მუხლის მე-5 პუნქტში საკრებულოს თავმჯდომარის ქვეყნის გარეთ მივლინებაზე ბიუროს თანხმობა უნდა იყოს საკმარისი, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

მე-8 მუხლის პირველ პუნქტში საკრებულოს მაგივრად უნდა ეწეროს სხდომის თავმჯდომარე, რადგან საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომა შეიძლება წაიყვანოს როგორც თავმჯდომარის მოადგილემ, ასევე უხუცესმა წევრმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

17- მომხრე

1 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი,

1- არ მიიღო მონაწილეობა- თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №36 -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

საკრებულოს სხდომას ესწრება 20 წევრი.

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №37 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - არსენ ბულრიძე/

მომხსენებელმა გააცნო დებულების პროექტი დამსწრე წევრებს.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №38 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი - არჩილ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №39 -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე მიწის ნაკვეთიდან, (ფართობი 21173536.0კვ.მ, საკადასტრო კოდიN50.30.31.025) 400.0კვ.მ მიწის ფართის სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი წევრებს. აღნიშნული კომპანია 99 წლის ვადით ითხოვს ფართის გადაცემას.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

18- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №13 -ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე მიწის ნაკვეთიდან, (ფართობი 21173536.0კვ.მ, საკადასტრო კოდიN50.30.31.025) 400.0კვ.მ მიწის ფართის სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოუსვლელთა სკვერში“ 81კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დარბაზს. განმცხადებელმა წარმოადგინა ბიზნეს- გეგმა. დახარჯავს 14 500 ლარს, 90 დღის განმავლობაში შეასრულებს სამუშაოს. მოაწყობს კაფე-ბარს, დადგამს გასართობ კონსტრუქციებს, დაასაქმებს 5 ადამიანს. საიჯარო ქირა 100 ლარი.

საკრებულოს სხდომას ესწრება 21 წევრი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

19- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №14- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ე.წ. „შინმოუსვლელთა სკვერში“ 81კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50- ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, 168.1კვ.მ ფართის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი წევრებს. საარჩევნო კომისია ითხოვს დამატებით 2 ოთახს. ცესკო თავისი ხარჯით გაარემონტებს ოთახებს.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

19- მომხრე

2 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №15-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, 168.1კვ.მ ფართის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს:

- ა) ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (ყოფილი პოლიციის შენობის) მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 177კვ.მ ფართის(საკადასტრო კოდი 50.04.42.100)
 - სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ, წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 7%-ით - **1896,0** (ერთიათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით;
- ბ) სოფელ ოჯიოში, კულტურის სახლის შენობაში პირველ და მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახის, საერთო ფართით 60 კვ.მ ფართის საკადასტრო კოდი 50.12.08.022
 - სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ, წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით- **324.0** (სამას ოცდაოთხი) ლარის ოდენობით;
- გ) სოფ მატანში, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში პირველ სართულზე მდებარე 19.8კვ.მ ფართის, (საკადასტრო კოდი 50.11.47.016)
 - სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ, წლიური ქირის საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით- **150.0** (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- ა. შათირიშვილი: ოჯიოს საკითხი ელექტრონულად არ არის გამართული, კომპიუტერში მოძებნის დროს კოდი რომ შეგყავს ორთოფოტოს არ ეძებს.
- თ. კუდიანაშვილი: - ყურშიტაშვილთან მიწერილი გვაქვს და სანამ აუქციონი ჩატარდება, ხარვეზიც გამოსწორდება.
- ა. შათირიშვილი: სამივე საკითხს ცალცალკე ვუყაროთ კენჭი.
- შ ტერტერაშვილი: - მატანის საკითხზე აუქციონში ვადა უნდა იყოს მითითებული, ჩვენ 2 წელზე მეტი არ გვაწყობს, რადგან სამომავლოთ სხვა გეგმები გვაქვს.
- თ. კუდიანაშვილი: მე ვარპასუხისმგებელი, რომ შეთანხმება მოხდება ორი წლის ვადით.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება პროექტიდან ოჯიოს საკითხის ამოღების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დარჩენილ ორ საკითხს.

19- მომხრე

1 - წინააღმდეგი - შ. ტერტერაშვილი,

1- არ მიიღო მონაწილეობა- გ. ჭვრიტიძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №16 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ.საკობიანოში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის 14.5 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი საკრებულოს წევრებს:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. საკობიანოში მდებარე, მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ50.05.33.092) მეორე სართულზე განთავსებული 14.5კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის შესახებ. მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ფართში განმცხადებელს დაგეგმილი აქვს ვეტაფთიაქის გახსნა.

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით - **120,0** (ას ოცი) ლარი;

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც მხარი საკრებულოს ყველა წევრმა დაუჭირა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №17 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ.საკობიანოში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის 14.5 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი წევრებს: დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში: - ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - ფართობი 193.0კვ.მ (ს/კ50.04.43.484) სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც მხარი საკრებულოს ყველა წევრმა დაუჭირა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №18 - ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტის ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს:

დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების: ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - ფართობი 193.0კვ.მ, (ს/კ50.04.43.484)

- საწყისი საპრივატიზებო საფასური 5790 (ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც მხარი საკრებულოს ყველა წევრმა დაუჭირა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №19 - ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

მოსმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შახვეტილის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი, ჩაჩხრიალის ტერიტორიაზე მდებარე 400.0კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის (საკადასტრო კოდი N50.24.31.070) სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი წევრებს. აღნიშნა, რომ კომპანიამ თვითონ შეარჩია ადგილი ჩაჩხრიალას ტერიტორიაზე, ე.წ. „შვეიცარიაში“, ჩადგა აპარატურა. საჭიროა კანონის შესაბამისად მოხდეს გაფორმება.

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე ა.შათირიშვილმა საკითხთან დაკავშირებით ბიუროს გააცნო კომისიის დასკვნა. კომისია არ ეთანხმება აგრეთვე, აღნიშნული ფართის „დელტა“- სთვის გადაცემას.

ბ. ჭიჭიკლიშვილი - სწორი იქნება მერიას დაუბრუნდეს საკითხი უკეთ შესწავლის მიზნით.

ჩამოვიდნენ დელტას წარმომადგენლები. გავგარკვიონ რატომ ჩადგეს პრობლემურ ადგილას შენობა და რა ვარიანტში უწყდებათ მათ ფუნქციონირება.

საკრებულოს წევრების უმრავლესობამ მოითხოვა საკითხის უკან დაბრუნება მერიისთვის უკეთ შესწავლის მიზნით

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის უკან დაბრუნებას, რასაც მხარი საკრებულოს ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც მხარი საკრებულოს ყველა წევრმა დაუჭირა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №20 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ.ზ.ალვანში, კულტურის სახლის შენობაში პირველ სართულზე მდებარე 37.9კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც მხარი საკრებულოს ყველა წევრმა დაუჭირა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №21 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ.ზ.ალვანში, კულტურის სახლის შენობაში პირველ სართულზე მდებარე 37.9კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხვა წინადადება არ დაუყენებიათ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13⁴⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



თამარ ყვინიშვილი